პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 44 (4038) 4 1970 წ. მარტი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

△ ჰელსინკი. საერთაშორისო მძლეოსნურ სარბიელზე დაკარგული ავტორიტეტის აღდგენის მიზნით, ფინეთის ამ სახეობის ხელმძღვანელობამ შექმნა „ნიჭიერი ახალგაზრდების ძიების ასოციაცია", რომელსაც სათავეში ჩაუყენა ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრების კაპიტანი ი. ტუომინენი. ვიცე-პრეზიდენტობა ცნობილ შუბის მტყორცნელს პ. ნევალას დაეკისრა.

# დოსააფი — 70

რას მოუტანს ახალი 1970 წელი სპორტის ტექნიკური სახეობების წარმომადგენლებს? რომელ შეჯიბრებებში ხვდებიან ისინი სტარტს ახალ სეზონში? აას-ის კორესპონდენტის ამ და სხვა შეკითხვებს უპასუხებს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. სკვორცოვი.

— უდავოდ, საიუბილეო წლის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება იქნება V საკავშირო სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში, — დაიწყო თავისი ინტერვიუ ა. სკვორცოვმა, — რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნება.

სპარტაკიადის დაწყებითი ეტაპი მაისამდე გასტანს. ამ პერიოდში გაიმართება შეჯიბრებები დოსააფის პირველად ორგანიზაციებში. ბრძოლაში ჩაებმებიან ავტომობილისტები და მოტოციკლისტები, რადისტები და მსროლელები, მოდელისტები და მრავალჭიდელები.

მასობრივი შეჯიბრებები სპორტის ყველა ტექნიკურ სახეობაში დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებსა და საწარმოებში 1970 წლის ბოლომდე გაგრძელდება. მაისივნისში ჩატარდება რაიონებისა და ქალაქების, ოლქებისა და მხარეების სპარტაკიადები, რომლებშიც პირველადი ორგანიზაციების შეჯიბრებებში გამარჯვებულნი გამოვლენ. ივლისში გაიმართება მოკავშირე რესპუბლიკების სპარტაკიადები, ხოლო აგვისტოში ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები საკავშირო სპარტაკიადის ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

● სპორტის რომელ სახეობებში ჩატარდება შეჯიბრებები?

— სპარტაკიადის პროგრამაში 29 სახეობა შედის. შეჯიბრებები ჩატარდება ხმელეთზე, ცაში და ზღვაზე. საჰაერო სარბიელზე ძალებს მოსინჯავენ მფრინავები, პლანერისტები, პარაშუტისტები, შვეულმფრენის ოსტატები და ავიამოდელისტები. კროსებში, მრავალჭიდსა და რბოლებში გამოვლენ მოტოციკლისტები და ავტომობილისტები. ზღვების, მდინარეებისა და ტბების ცისფერ გზებზე გაიმართება აკვალანგისტებისა და სკუტერისტების, მრავალჭიდელებისა და მოდელისტების ბრძოლა.

● როგორ იქნებიან წარმოდგენილი სპარტაკიადის ფინალში მოკავშირე რესპუბლიკები?

— თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში 204 სპორტსმენი შედის. აქედან 44 ჭაბუკი იქნება. იუნიორები ცალკე იბრძოლებენ ჩათვლისთვის ავტომობილისტების, სკუტერისტების, წყალქვეშა სპორტის წარმომადგენლების, ზღვის მრავალჭიდელთა, რადისტების, მსროლელებისა და მოტოციკლისტების შეჯიბრებებში. ამას გარდა, სპარტაკიადის პროგრამაში პირველადაა შეტანილი რადიომოყვარული კონსტრუქტორების, მოტობურთელებისა და სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდის წარმომადგენელთა შეხვედრები.

● რა ჯილდოები ელით სპარტაკიადაში გამარჯვებულთ?

— სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში გათამაშებული იქნება ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 700-ზე მეტი მედალი. თუ საპრიზო ადგილებზე გავლენ, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, დოსააფის ცენტრალური კომიტეტის, გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის" გარდამავალი პრიზებით, აგრეთვე, სამახსოვრო თასებითა და ვიმპელებით.

● რას გვეტყვით საიუბილეო წლის სხვა შეჯიბრებებზე?

— პარაშუტისტები გაითამაშებენ თასებს: „თეთრი ოქრო", „ამიერკავკასია" და „ბალტიისპირეთი"; ჩაატარებენ უმაღლესი საავიაციო დაწესებულებების ჩემპიონატსა და პარტიზანული დიდების ქალაქების პირველობას, აგრეთვე, მოაწყობენ გმირი ქალაქების სამატჩო შეხვედრას.

მფრინავები ატარებენ სსრ კავშირის პირველობას პილოტაჟში რეაქტიული თვითმფრინავებით, ავიამოდელისტები — პირველობას რადიოსამართავი მოდელებით.

ავტომობილისტებს ელით ტრადიციული რალები — „ნევის ჩირაღდნები", „კავკასია", „ბალტიის ზღვა — მშვიდობის ზღვა" და მრავალი სხვა. გათამაშდება, აგრეთვე, ბევრი პრიზი საგზატკეცილო-წრიულ რბოლებში, კარტინგისტების, ავტოკროსმენების, ავტომოდელისტების პირველობებში, იპოდრომზე ავტომობილისტთა რბოლებში.

● რომელ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოვლენ საბჭოთა სპორტსმენები წლეულს?

— ინგლისში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. ამ შეჯიბრებაში გამოვლენ საბჭოთა მფრინავები, მათ შორის, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები ვ. მარტემიანოვი და გ. კორჩუგანოვა.

პოლონეთში, სპიდვეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა ახალგაზრდა მრბოლელი საქართველოდან ვ. კლიმენტიევი — 1969 წლის ევროპულ ფინალში გამარჯვებული.

წყალქვეშა სპორტის ოსტატთა ევროპულ ჩემპიონატებში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენები — მრავალჭიდელები, ლენინგრადელი ვ. ჩებოლკინა და ტალინელი ი. კომპუსი, წყალქვეშ სწრაფცურვის ოსტატები — მოსკოველები ვ. კუზნეცოვა და ა. კრასნიკოვი. ყველანი კონტინენტის 1969 წლის პირველობაში გამარჯვებულნი არიან.

საბჭოთა იუნიორი მოტობურთელები და მოტოკროსმენები იბრძოლებენ ევროპის თასების გათამაშებაში. საბჭოთა მოტომრბოლელები მსოფლიო ჩემპიონატებში იასპარეზებენ კროსში, საგზატკეცილო-წრიულ და ყინულზე რბოლაში.



„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 78:65 (38:33)

პირველი წრე — 71:64 „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ

●

წუთშესვენებას ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეული მიზანი და დანიშნულება აქვს. თამაშის ბედი ფაქტიურად გადაწყდა — „ბურევესტნიკი" იმარჯვებს. მწვრთნელი მ. კეკელიძე გულდამშვიდებით არიგებს მოთამაშეებს.

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან): გლურჯიძე, კეკელიძე, ჯულელი, ჩხაკვაძე, პულავსკი და ბიჭიაშვილი.

(კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-3 გვ.).

## 20 45

◆ ოჩამჩირე, 3 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში: ცსკა შეხვდა ტყიბულის „მეშახტეს".

ტყიბულელებმა საუკეთესოდ ითამაშეს. მათი რამდენიმე სახიფათო იერიშის შემდეგ, მე-10 წუთზე, ჩიხლაძემ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. ცოტა ხნის შემდეგ მოსკოველმა უიგუნოვმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

მეორე ტაიმში ტყიბულელ ფეხბურთელებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მათი გამოყენება არ მოხერხდა.

რ. ჭედია.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

## საწვრთნელი მატჩები

შავი ზღვის სანაპიროზე გრძელდება „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდების საწვრთნელი მატჩები. თბილისის დინამოელები გაგრაში დამარცხდნენ ლენინგრადის „ზენიტთან" (0:1), ხოლო ქუთაისის „ტორპედომ" ფრედ ითამაშა როსტოვის არმიელთა გუნდთან — 1:1.

## ფინიშის შემდეგ — კვლავ სტარტი

ლენინგრადი (საკდესი). დამთავრდა ლენინგრადის ზამთრის V სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები, რომლის პროგრამაშიც სპორტის 10 სახეობა შედიოდა. ოქროს მედლებისთვის მებრძოლ 6 ათას ფინალისტს შორის აღმოჩნდნენ ახალბედებიც — ციგით რბოლის ოსტატებიც. მაგრამ სპარტაკიადის პროგრამის მთავარ ნაწილს მაინც მოთხილამურეთა შეჯიბრება წარმოადგენდა, რომელშიც ყველა ასაკობრივი ჯგუფის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ქალთა შეჯიბრებაში უძლიერესები არ გამოსულან, მაგრამ შედეგები მაინც მაღალი იყო. 5-კილომეტრიან დისტანციაზე ხუთმა სპორტსმენმა ოსტატობის ზღვარი გადალახა, ხოლო ორმოცზე მეტმა I თანრიგის ნორმატივზე უკეთესი შედეგი აჩვენა.

ფინალური შეჯიბრება დამთავრდა, მაგრამ სპარტაკიადა გრძელდება: ბრძოლაში ჩაებნენ რაიონების კოლექტივები. სარბიელზე პირველად ჰოკეისტები გამოვიდნენ. შემდეგ სტარტს აიღებენ მოცურავეები და მოთხილამურეები.

## თეთრი ტრასის მასპინძლებთან

დღეს მიასში, სადაც რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა ტარდება, ნათხილამურევის მასპინძლები ქალები იყვნენ. 10 კმ-ზე რბოლის ტრასაზე 110 სპორტსმენი გამოვიდა, გამარჯვება კი სპარტაკიადის ყველაზე ხნიერმა მონაწილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. კოლჩინამ მოიპოვა. მოსკოველმა დისტანცია 36 წუთსა და 5 წამში გაირბინა. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონმა ესტაფეტაში, ლენინგრადელმა ნ. ფიოდოროვამ, რომელმაც კოლჩინასთან 2 წამი წააგო. ბრინჯაოს მედალი ხვდა ლენინგრადელ ნ. შებალინას — 36.29.

— სპარტაკიადა ტალანტების ძიებაა, — თქვა სახელმწიფო მწვრთნელმა ვ. კამენსკიმ. — და სპორტსმენი ქალებისთვის ეს ძიება წარმატებით დაგვირგვინდა. მაგალითად, 22 წლის ნ. სელიუნინამ (მარეთის ასსრ) კარგი შედეგი აჩვენა (36.52) და V ადგილი დაიკავა.

ნათხილამურევის კარგ ოსტატებად გაგვაცნეს თავი 23 წლის ლ. მუხაჩოვამ მურმანსკის ოლქიდან (VII ადგილი), ს. კონდრატიევამ (ესტონეთი), დ. გრიგორიევამ (ჩუვაშეთის ასსრ). 20 წლის სპორტსმენებმა თ. შაკშინამ (კარელია) და ა. რუმიანცევამ (ვოლოგდა) სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს.

ა. ფილიპონენკო.
(საკდესის კორ.).
მიასი.

## მოსკოვის შანსები

ტუნისი, 2 მარტი. ყოველკვირეულმა გაზეთმა „სპორტმა" დღეს გამოაქვეყნა დიდი წერილი, რომელიც ეძღვნება 1976 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურის წამოყენების საკითხს. წერილის სათაური ასეთია: „მოსკოვი და 1976 წლის ოლიმპიური თამაშები". ავტორი წერს, რომ მოსკოვს სხვა კანდიდატებზე მეტადა აქვს პრეტენდენტთა დავაში გამარჯვების შანსი. როგორც გაზეთი იუწყება, ამ აზრს ამტკიცებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ე. ბრენდეჯის, აგრეთვე, ზოგიერთი ცნობილი სპორტსმენის შეხედულება. წერილში მოყვანილია მონაცემები საბჭოთა სპორტის განვითარებაზე, მოსკოვის სპორტულ შესაძლებლობებზე, მის დიდებულ სპორტბაზებზე.

აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირში, კერძოდ, მოსკოვში, შესანიშნავად ტარდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისა და საერთაშორისო ასპარეზობათა ფინალური ტურნირები. (საკდესი).

# წარმატება საჯეიმოდ აღნიშნეს

შარშან ვანის რაიონის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. გეგმის გადაჭარბებით მომზადდა 20 პირველთანრიგოსანი. ასობით ახალგაზრდამ მიიღო საზოგადოებრივი მუშაკისა და ნიშნოსნის წოდება. სოფლად გაიზარდა ბაზების ქსელი. რაიონში გაიხსნა ბავშვთა კომპლექსური სპორტული სკოლა...

რაც მთავარია, ვანი ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღების ობიექტიც გახდა. დიახ, ქართული ფეხბურთის ისტორიისთვის თავისებური აღმოჩენაა ადგილობრივი „სულორი", რომელიც შარშან საქართველოს ჩემპიონი გახდა და ამით წლეულს „ბ" კლასში თამაშის უფლება მოიპოვა. რაც უფრო ახლოვდება საფეხბურთო სეზონი, მით უფრო იზრდება გულშემატკივართა საზრუნავი. ვისაც რაიონის ეს დიდი წარმატებაახარებს, გულისყური სპორტული კომბინატის მშენებლობისკენ აქვს მიქცეული. აქ მთავარ სარბიელს — ფეხბურთის სტადიონს ტრიბუნები 10 ათასი მაყურებლისთვის ექნება.

სეზონისთვის მზადება გადაუდებელია, მაგრამ რაიონის მშრომელებს სურდათ გამარჯვებულ ფეხბურთელებთან საზეიმო შეხვედრა მოეწყოთ. და აი, ამ დღეებში სურვილი აიხდინეს. მოიწვიეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მუშაკები და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი დ. შანიძეც. სტუმრებს ვანის არქეოლოგიური გათხრების ობიექტებიც დაათვალიერებინეს, აჩვენეს სპორტული ბაზები...

რაიონის კულტურის სახლში გამართული საზეიმო შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის განყოფილების გამგემ ს. ხარძეიშვილმა. შეკრებილთ რაიონის სპორტულ წარმატებებზე, „სულორის" ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებაზე და მოწვეულ სტუმრებზე მოუთხრო რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ბუბაშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ: ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. ახობაძე, საკონსერვო ქარხნის ინჟინერი დ. ფირანაშვილი, „სულორის" გუნდის ფეხბურთელი ო. სოსელია, მწვრთნელი ა. გრძელიძე და სხვ.

ვანელ ფეხბურთელებს სასახელო გამარჯვება მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა დ. ცომაიამ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ გ. ბაქანიძემ და მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ ვ. შავდიამ. გ. ბაქანიძემ თასი, სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა გუნდის მოთამაშეებს.

საზეიმო შეხვედრის დასასრულს კომკავშირის ვანის რაიკომის მდივანმა ო. ცხვარაძემ წაიკითხა მიმართვა რაიონის ყველა ფიზკულტურელისა და სპორტსმენისადმი.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ვანი.

# ახალი ამოცანები

გაიმართა „განთიადის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს III პლენუმი, რომელმაც მოისმინა ორი საკითხი: 1. 1969 წლის სპორტული შედეგები და ახალი ამოცანები, 2. მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

მომხსენებლებმა — „განთიადის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. ტურაბელიძემ და ელექტრომექანიკური ქარხნის ფიზკულტურის უფროსმა ინსტრუქტორ-მეთოდისტმა ო. კაკულიამ, კამათში გამოსულებმა — ზ. ჯავახაძემ (ქალაქის საჭადრაკო-სამაშო კლუბის გამგე), ნ. ნუქიფიშვილმა (მე-8 სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), ვ. მიქაძემ (აბრეშუმკომბინატის ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი), ჯ. კვანტალიანმა (მწვრთნელი ფარიკაობაში), დ. სიხარულიძემ (სპორტკლუბ „კოლხიდის" თავმჯდომარის მოადგილე) ილაპარაკეს შარშან მოპოვებულ წარმატებებზე. აღინიშნა, რომ ქუთაისელები მთელ რიგ ღონისძიებებში კარგად გამოვიდნენ: „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაში ჩემპიონობა დაისაკუთრეს, პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში კი ბევრი საპრიზო ადგილი დაიკავეს. რაც შეეხება პროფკავშირების IX საკავშირო სპარტაკიადას, ქუთაისიდან ამ სპარტაკიადაში 8 განთიადელი მონაწილეობდა და ერთმა მათგანმა — ზ. შეყრილაძემ ჩემპიონობა მოიპოვა.

გადაჭარბებით შესრულდა სპორტის ოსტატთა, ოსტატობის კანდიდატთა, თანრიგოსანთა მომზადების წლიური დავალებები. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად განთიადელები მთელ რიგ ღონისძიებებს სახავენ.

პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო და კადრების განყოფილების გამგე ტ. კიკნაველიძე, რომელმაც „განთიადის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს მ. ტურაბელიძეს გადასცა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაში მოპოვებული ბროლის თასი. პირადად მ. ტურაბელიძემ საკავშირო პროფსაბჭოს აქტივისტის ნიშანი მიიღო.

ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ ლითოფონის ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე ი. გოგოლაშვილი, აკადემიური ნიჩბოსნობის გუნდის მწვრთნელი კ. ლიპარტელიანი.

საპატიო ნიშნები და სიგელები გადაეცათ: ტყავფეხსაცმლის კომბინატის დირექტორს ვ. იობიძეს, მე-4 სამშენებლო ტრესტის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს რ. სამხარაძეს, საავტომობილო ქარხნის შასის საამქროს უფროსს ნ. კალმახელიძესა და სხვებს, სულ 9 კაცს. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სიგელი მიიღო 16, ხოლო საქალაქო საბჭოს სიგელი — 7 აქტივისტმა.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

## ამბები რაიონებიდან

### ✦ ზუგდიდი

„კოლმეურნის" რაისაბჭოს მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაში 15 კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა ონარიის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. II ადგილზეა რუხის, III — ცაიშის გუნდი. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის — ა. ბაძაღუა (რუხი), ვაჟებში — ვ. ფალავა (ონარია).

ა. ჟვანია,
სოფ. რუხის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

### ✦ თელავი

რაიონის პირველობაში 14 საშუალო სკოლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა ითამაშეს. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ადგილობრივი მე-3 საშუალო სკოლის ნაკრებმა.

ვ. ჩიტაშვილი,
პირველობის მსაჯი.

### ✦ თერჯოლა

„კოლმეურნის" რაისაბჭოს მოშაშეთა გუნდურ ტურნირში I ადგილი დაიკავა სიქთარვის ნაკრებმა. II ადგილი ხვდა ნახშირღელის, III — ხეხილ-სანერგე საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს.

ი. სულაქველიძე,
„კოლმეურნის" თერჯოლის რაისაბჭოს თავმჯდომარე.






# საიდუმლოებით მოცული სალვადორელები

მეხიკოს „აცტეკის" სტადიონზე, რომელიც ახლა ჯერ კიდევ ემზადება ფეხბურთში მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალის საზეიმო გახსნისთვის, სალვადორის ნაკრები გუნდის ფეხბურთელებმა ამ რამდენიმე თვის წინ უკვე მოასწრეს ჩაეტარებინათ ოქროს ქალღმერთის ოფიციალური მატჩი. მოხდა ისე, რომ XIII შესარჩევი ჯგუფის ორმა ნახევარფინალურმა შეხვედრამ სალვადორისა და ჰონდურასის გუნდებს შორის ვერ გამოავლინა გამარჯვებული (0:1, 3:0) და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებმა თავაზიანად დაუთმეს მათ თავიანთი 100-ათასიანი სტადიონი დამატებითი მატჩის ჩასატარებლად. ეს თამაში ბედნიერი გამოდგა სალვადორელთათვის, რომლებმაც გაიმარჯვეს (3:2) და გავიდნენ ჯგუფის ფინალურ ტურნირში. აქ „ლურჯ-ცისფერთა" გუნდს (სალვადორის ნაკრების ფორმა) ძნელი მატჩების ჩატარება მოუხდა ჰაიტის გუნდთან, რომელმაც მანამდე ბრძოლას გამოსთიშა აშშ-ს ნაკრები. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია იძულებული იყო დაენიშნა კიდევ ერთი, გეგმით გაუთვალისწინებელი მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტის გამოსავლენად. არჩევანი შეჩერდა ქალაქ კინგსტონზე (იამაიკა). მატჩისთვის განკუთვნილ დროში მეტოქეებმა ვერ შეძლეს გაერკვიათ ურთიერთობანი — 0:0. მსაჯმა დანიშნა დამატებითი დრო. და აი, მატჩის 104-ე წუთზე სალვადორელთა საუკეთესო ფორვარდმა რამონ მარტინესმა გაიტანა გოლი. ასე, პირველად მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, 3,5-მილიონიანი სალვადორის ფეხბურთელები მოხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა შორის.

პაწაწა სალვადორში, რომელიც წყნარი ოკეანის ნაპირებზე მდებარეობს, ფეხბურთი ევროპიდან შეიტანეს 50 წლის წინ. ისევე, როგორც სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში, მან სწრაფად ჰპოვა თაყვანისმცემლები. ახლა ამ ქვეყნის დედაქალაქ სან-სალვადორში და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში — სანტა-ანიში, სან-მიგელეში, აგრეთვე, პატარა ქალაქებში რეგულარულად ეწყობა საფეხბურთო ტურნირები. ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში არიან წამყვანი პროფესიული კლუბები „აკვილა", „ატლანტა", „ადლერი", „უნივერსიდადი" და „იუვენტუდი", რომლებიც მუდმივად შედიან ამ ქვეყნის უმაღლეს ლიგაში.

ინტერესი ფეხბურთისადმი განსაკუთრებით გაიზარდა 1957 წელს, როცა სალვადორის ნაკრებმა მოულოდნელად მოიპოვა ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის და კარიბის აუზის ქვეყნების ტრადიციულ პირველობაში გამარჯვებულის სახელი. გავიდა 10 წელი და შესარჩევ თამაშებში, სადაც მათი უმთავრესი მეტოქეები — მექსიკელები არ გამოდიოდნენ (რადგან ოლიმპიადის მასპინძლები იყვნენ), სალვადორელებმა გაიმარჯვეს ზონაში და იმ 16 გუნდის რიცხვში მოხვდნენ, რომლებიც ოლიმპიური მედლებისთვის იბრძოდნენ. თუმცა მათს გამოსვლას ფინალში დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

... გრეგორიო ბუნდიო. მას, როგორც მწვრთნელს, ჩააბარეს სალვადორის ნაკრების ბედი. წარმოშობით არგენტინელი, იგი თამაშობდა ცნობილ კლუბ „ბოკა ხუნიორსში". შემდეგ მწვრთნელად მიიწვიეს გვატემალაში, სადაც დიდხანს არ გაჩერებულა. და აი, უკვე 20 წელია ბუნდიო სალვადორში ცხოვრობს. თავდაპირველად იგი მოზარდთა გუნდებს ავარჯიშებდა, შემდეგ ნაკრები წაიყვანა 1968 წლის ოლიმპიადაზე, ახლა კი უძლიერეს ფეხბურთელებს ამზადებს მომავალი ბრძოლებისთვის ბელგიის, მექსიკისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებთან.

ბუნდიოს ფანატიკურად უყვარს ფეხბურთი, კარგად იცნობს ლათინური ამერიკის ტექნიკურ სკოლასაც და ბევრი ევროპული კლუბის თამაშსაც, სადაც ათლეტიზმი ტაქტიკურ სიახლეებთანაა შერწყმული. იგი „ღია ფეხბურთის" მომხრეა: „ჩვენ გვიყვარს, როცა თვითონაც ვთამაშობთ და სხვასაც ვაძლევთ თამაშის საშუალებას" — აი, გრეგორიო ბუნდიოს კრედო, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩენილ დღეებში განზრახული აქვს თავისი ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოსცადოს ბრაზილიის, არგენტინისა და ვენესუელის გუნდებთან მატჩებში.

მზადების პროცესში ბუნდიოს სურს სალვადორელთა წყნარი თამაში გადაახვაფეროს ატლეტურ, ვერტიკალურ ფეხბურთისთვის დამახასიათებელ ბრძოლად. მწვრთნელის თხოვნით სალვადორის ფედერაციამ ინგლისელი არბიტრი მოიწვია. იგი მსოფლიო პირველობის დებიუტანტს არა მარტო ასწავლის თამაშის წესების გაგებას ნაკრები გუნდების დონეზე, არამედ უკარნახებს კიდეც, როგორ უნდა გაუწიო წინააღმდეგობა იმ „მკაცრ" თამაშს, რომელიც, ბუნდიოს აზრით, მოსალოდნელია მექსიკაში.

ფეხბურთში მსოფლიო პირველობათა ჩატარების 40-წლიან ისტორიაში ცოტა შემთხვევა როდი ყოფილა, როცა ნაკლებად ცნობილ გუნდს თანაბრად უბრძოლია სახელმოხვეჭილ კოლექტივებთან და გაუმარჯვნია კიდეც.

გაიხსენეთ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა მეოთხედფინალში გადაუკეტა გზა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს — იტალიელებს, შემდეგ კი კინაღამ მოუგო პორტუგალიელებს. უძლიერესთა ბრძოლაში ყველა თანასწორია. შემთხვევითი არაა, რომ, როცა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა გაიგო ფინალური ტურნირის კენჭისყრის შედეგები, განაცხადა: „სალვადორის ნაკრები ამოცანაა ჩვენთვის. რასაკვირველია, ჩვენ ზოგიერთ რამეს ამ გუნდზე შევიტყობთ მსოფლიო პირველობის გახსნამდე, მაგრამ ახლა არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, როგორ ითამაშებენ „აცტეკის" სტადიონზე ახალგაზრდა, ტემპერამენტიანი სალვადორელი ფეხბურთელები".

სალვადორის ნაკრები მექსიკაში, ალბათ, ყველაზე ახალგაზრდა გუნდი იქნება: მის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 20 წელს უდრის.

ახლა სალვადორის ნაკრების კანდიდატია 24 ფეხბურთელი. მის ბირთვს წარმოადგენენ ისინი, ვინც სალვადორს ადგილი მოუპოვა ფინალში.

მეკარე ხუან ფერნანდესი „ატლანტიდან" იშვიათად ცდება ხოლმე, თუმცა მას ზოგჯერ ღალატობს ინტუიცია და ზედმეტი ნაჩქარევობა კარიდან გამოსვლისას.

დაცვის ხაზს შეადგენენ უნივერსიტეტის გუნდის მოთამაშეები — რობერტ რივასი, სალვატორე მარიონა, მაურისიო ანსანო, ხორხე ვასკესი და სატურნინო ოსარიო.

ნახევარდაცვის ხაზში გამოირჩევა ტანმაღალი ანტონიო კინტანილია „ადლერიდან". გუნდის ამ დირიჟორთან ერთად საუკეთესოდ ურთიერთმოქმედებენ და ეხმარებიან თავდამსხმელებს მეტოქის კარის სიახლოვეს მისი თანაკლუბელი ფლამენკო კაბესასა, აგრეთვე, მარიო მონხე „აკვილიდან".

თავდასხმაში სალვადორის ნაკრებს, როგორც წესი, ჰყავს 4 ფორვარდი: ელმერ ასევედო („ალიანსი"), მაურისიო როდრიგესი („უნივერსიდადი"), რამონ მარტინესი („აკვილა") და ერნარო სერმენო („უნივერსიდადი").

სალვადორული ფეხბურთის ვარსკვლავად სამართლიანად მიაჩნიათ 23 წლის როდრიგესი — უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტი. მიუხედავად ასეთი ახალგაზრდა ასაკისა, როდრიგესი უკვე 6 წელია სალვადორის ჩემპიონატებში გამოდის. შარშანდელ სეზონში მან 36 მატჩში 25 გოლი გაიტანა. სალვადორის ნაკრებს ჰაიტის გუნდთან შესარჩევ მატჩში საკუთარ მინდორზე როდრიგესი არა ჰყავდა და დიდი ანგარიშითაც დამარცხდა — 0:3.

... დიახ, სალვადორის ნაკრები გამოცანაა. ძნელია დაეთანხმო ბელგიის ნაკრების მწვრთნელს რ. გუტალსს, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის, თუ როგორ ითამაშებენ პირველ დღეს ერთმანეთში ჩვენი მთავარი მეტოქეები — მექსიკა და სსრ კავშირი. სალვადორის გუნდს კი იოლად დავამარცხებთ".

ა. კაჩალოვი.
(საკდესის კორ.).

## II ტური

მოგვყავს ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის II ტურის (8 მარტი) კალენდარი: ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმერეთი" (თერჯოლა), ასკ (თბილისი) — „ცისკარი" (სიღნაღი), „ქართლი" (გორის რაიონი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), „ფეიქარი" (წულუკიძე) — „ვარკეთილი" (გარდაბანი), „ბახმარო" (ჩოხატაური) — „სალხინო" (გეგეჭკორი), „სამცხე" (აწყური) — „სქური" (წალენჯიხა), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ეგრისი" (ცხაკაია), „მესხეთი" (ახალციხე) — „სინათლე" (თბილისი), „მზიური" (გალი) — „გიგანტი" (ლაითური), „ისანი" (თბილისი) — „მალაროელი" (ჭიათურა).

# სსრ კავშირის თასზე

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა 1970 წლის საკავშირო თასის გათამაშების დებულება. მასში პრინციპული ხასიათის ბევრი სიახლეა შეტანილი.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს „ა" კლასის ყველა ჯგუფის 105 გუნდი. II ჯგუფის სამივე ზონიდან გათამაშების მეთექვსმეტედფინალში შევა 3-3 გუნდი, ხოლო I ჯგუფიდან — 6. საბოლოოდ, თასის გადამწყვეტ ეტაპზე ერთმანეთს შორის იბრძოლებს უმაღლესი ჯგუფის 15 და მომდევნო ჯგუფების 15 გუნდი. კენჭისყრამ მხოლოდ ვოროშილოვგრადის „ზარია" და ორჯონიკიძის „სპარტაკი" შეახვედრა ერთმანეთს.

ახალი დებულების თანახმად, მეთექვსმეტედფინალისა და მერვედფინალის მონაწილე გუნდები ერთმანეთს შორის ითამაშებენ არა თითოჯერ, როგორც ადრე, არამედ ორ-ორჯერ, შინ და გარეთ. ამით შემცირდება შემთხვევითობის ელემენტი. მეოთხედფინალებში და შემდგომ მეტოქენი ერთმანეთს უკვე თითოჯერ შეხვდებიან.

სსრ კავშირის თასის საბოლოო ბადე გამოქვეყნდება მაშინ, როცა გამოირკვევა მეთექვსმეტედფინალის მონაწილეთა ვინაობა, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ მის ზემო ნაწილში მოხვდნენ კიევის „დინამო", ცსკა, „ზენიტი", მოსკოვის „ტორპედო", მინსკის „დინამო", მოსკოვის „დინამო", ხოლო ქვემო ნახევარში — მოსკოვის „სპარტაკი", თბილისის „დინამო", „არარატი", როსტოვის ასკ, „ჩერნომორეცი", „შახტიორი"...

თასის ფინალური მატჩი 8 აგვისტოს შედგება მოსკოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის XXXVI ჩემპიონატი

# დღე პირველი

ჩემპიონატის პირველ დღეს ერთი კალენდარული მატჩით ნაკლები ჩატარდა: ცსკა-მ ჩამოფრენა ვერ მოასწრო და მისი შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან" გადაიდო. მსაჯთა კოლეგია საგანგებოდ იმსჯელებს მატჩის თარიღზე. შესაძლოა, გუნდებმა თავისუფალ დღეს (5 მარტს) ითამაშონ, შესაძლოა, მათ მოსკოვში დაამთავრონ დავა, როგორც ერთი ქალაქის წარმომადგენლებმა. ისე კი, გულახდილად რომ ვთქვათ, მოხარული ვიქნებით, თუ მათს მატჩს თბილისში ვიხილავთ: ამ გუნდების ბრძოლა მუდამ დაძაბულია და უაღრესად საინტერესო.

მეორე წრის დასკვნითი ტურის სტარტმა ცხადყო, რა ძვირად ფასობს ყოველი ქულა, ყოველი გამარჯვება. თქმა იმისა, რომ კოლექტივები თავგამოდებით, ენერგიისა და ძალების დაუზოგავად იბრძვიან, ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი თქვა იმაზე, რაც თბილისის სპორტის სასახლეში ხდება. ბრძოლა მართლაც დაუნდობელია, მაგრამ აზრიანი, დრამატული, ზედმიწევნით კორექტული. თანაც აზარტი, ვნებათა ღელვანი იგრძნობა არა მარტო მოედანზე, უშუალოდ ბრძოლის პროცესში, არამედ კ[illegible]უარებშიც და, პირველ ყოვლისა, ტრიბუნებზე.

„ჟალგირისისა" და „კალევის" მატჩის ორმოქმედებიანი დრამის განვითარება ისე განიცადა მაყურებელმა, გეგონებოდათ დარბაზში მხოლოდ ლიტველი და ესტონელი გულშემატკივრები ისხდნენო. ამ გუნდების ბრძოლა მუდამ იყო და არის უმაღლესი საკალათბურთო ხელოვნების ნიმუში, რომელიც უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის არა მარტო ნეიტრალურ მაყურებელს, არამედ ყველა დაინტერესებულ ადამიანსაც. სწორედ ამიტომ, მატჩის დამთავრების შემდეგ ორივე მწვრთნელმა მაღალი შეფასება მისცა ბრძოლას.

ლიტველებმა ხელში აიტაცეს შეხვედრის გმირი სარპალიუსი და ასე, ზარ-ზეიმით დატოვეს მოედანი.

ესტონელთა რეაქცია თამაშის დამთავრების შემდეგ სხვაგვარი იყო — ისინი თავდახრილი მიადგნენ გასახდელს და იქ კიდევ დიდხანს მსჯელობდნენ იმ უკულმართ მომენტზე, რომელმაც მათ ხელიდან გამოგლიჯა ნაღდი მოგება.

დავანებოთ თავი მატჩის დეტალურ აღწერას. ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ მხოლოდ ესტონელთა გმირობა, რაც პირველ ტაიმში ზედიზედ 17 ქულის აღებით გამოიხატა. გაიხსენეთ ისიც, რომ ამ დროს „კალევი" ბრძოლას 11 ქულით აგებდა და თქვენთვის ნათელი გახდება, როგორ აღმავლობას განიცდიდა გუნდი. „ჟალგირისმა" რის ვაი-ვაგლახით გამოასწორა მდგომარეობა. ამაში ყველაზე მეტად ლიტველთა ლიდერს პაულაუსკასს მიუძღვოდა „ბრალი", რომელმაც თავის გუნდს 39 ქულა შესძინა.

... მატჩის დამთავრებას 1 წამი აკლდა, როცა „ჟალგირისმა" გვერდითი ხაზიდან ბურთის გამოტანის უფლება მიიღო. ანგარიში ამ დროს იყო 84:83 „კალევის" სასარგებლოდ. და აი, ერთ წამში სარპალიუსმა მიიღო კიდეც გადაცემა და ბურთი შორიდან ზუსტად მოახვედრა მიზანს. ასეთი რამ, რომ იტყვიან, საუკუნეში ერთხელ ხდება. ამ უკულმართმა მომენტმა ესტონელებს წაართვა ქულა, რომელიც მათ თამაშით დაიმსახურეს.

ამ დღეს კიდევ ერთი ბრძოლა დამთავრდა მინიმალური უპირატესობით: ლენინგრადის „სპარტაკმა" 1 ქულით მოუგო „სტროიტელს" და პირველ წრეში დამარცხების რევანში აიღო. თვით თამაში სანახაობრივი თვალსაზრისით დიდ ღირებულებას არ წარმოადგენდა (ეს თუნდაც ანგარიშიდან ჩანს, რომელიც ქალთა გუნდების შეხვედრის შედეგს უფრო წააგავს — 57:56). სამაგიეროდ, ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო, ყოველნაირ ქებას იმსახურებს ლენინგრადელთა ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი ა. ბელოვი, რომელმაც ფაქტიურად განაიარაღა უკრაინელთა მძლავრი თავდასხმა (პოლივოდა, ვალტინი, კოვალენკო). 19 წლის ორმეტრიანი ლენინგრადელი ჩვენი კალათბურთის ნამდვილი ამომავალი ვარსკვლავია, რომლის სახელს კიდევ ბევრჯერ გავიგონებთ.

„ბურევესტნიკმა" აშკარად დაჯაბნა „ურალმაში". საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მასპინძლებმა შეხვედრა 18 ქულით მოიგეს. თბილისელები უფრო აქტიურნი იყვნენ თავდასხმაში, უფრო ძლიერნი დაცვაში და საერთო შთაბეჭდილებითაც მთელი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეზე.

სამწუხაროდ, ძნელი და მომქანცველი ბრძოლის მთელი სიმძიმე სულ ერთსა და იმავე ხუთეულზე გადადის. „ბურევესტნიკს" მოუგვარებელი აქვს რეზერვის საქმე, რაც სამართლიანად აწუხებს გუნდის გულშემატკივრებს. „ურალმაშთან" მატჩში კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ძიძიგურმა. ეს კი უკვე იმედის რაღაც ნიშანია.

ბოლოს და ბოლოს „ახალგაზრდობა" გაიხსენა თბილისის „დინამომაც" და ლამაზად, მისთვის დამახასიათებელი აგრესიული სტილით ითამაშა. „დინამომ" წლევანდელი ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა (ერთ შეხვედრაში ყველაზე მეტი ქულა აიღო), მაგრამ მთავარი ის არის, რომ გუნდმა რაღაც სიახლე იგრძნო და თავისუფლად გაშალა ფრთები. თბილისელებმა ამ შეხვედრაშიც შეტევისადმი ლტოლვა გამოამჟღავნეს, დაცვაში კი ტრადიციულად უყურადღებონი იყვნენ.

კიევის არმიელებთან ასეთი სითამამე კიდევ დასაშვებია (იგი აშკარად არ არის ფორმაში), სხვა მეტოქეებთან კი დაცვის ორგანიზაციას მეტი მრავალფეროვნება და დაკვირვება დასჭირდება.

რიგის არმიელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩამოსცილდნენ „ურალმაშისა" და „ლოკომოტივის" კომპანიას. ახლა მათ ამის უშუალო შესაძლებლობა მიეცათ, ვინაიდან ერთ-ერთ აუტსაიდერს — „ლოკომოტივს" ხვდებიან. გამარჯვების სასწორი ამჯერად არმიელთა მხარეს გადაიხარა, ეს კი ბევრს ნიშნავს, მით უმეტეს, რომ მესამე წრის მატჩებს ამ ორ აუტსაიდერთან რიგის გუნდი შინ ატარებს.

ნ. ბუბუშვილი.

● ●

„დინამო" (თბილისი) — ასკ (კიევი) 104:84 (46:44)

პირველი წრე — 74:73 „დინამოს" სასარგებლოდ



„რეაქტიული" საკანდელიძე ამ დღეს თავის სტიქიაში იყო, თანაგუნდელებმაც მხარი აუბეს და გუნდმა თითქმის მთელი თამაში თავბრუდამხვევ ტემპში, გამუდმებულ შეტევებსა და აზარტულ ბრძოლაში ჩაატარა.

სურათზე: საკანდელიძე წარმატებით აგვირგვინებს დინამოელთა მორიგ იერიშს.

ასკ (რიგა) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 73:66 (41:32)

პირველი წრე — 86:70 ასკ-ს სასარგებლოდ



თავიანთი საქმე მათ უკვე „მოაგვარეს" და ახლა ყურადღებით ადევნებენ თვალს თბილისის „ბურევესტნიკისა" და კიევის არმიელთა ორთაბრძოლას. რა აღელვებთ ალმაათელ კალათბურთელებს, ძნელი მისახვედრი არაა — ხვალ ხომ სწორედ კიევის არმიელებთან უწევთ თამაში.

სურათზე (მარცხნიდან): „ლოკომოტივის" წევრები ხომენკო, პოზნიაკოვი, მალაშინი და მუხამეჯანოვი (მწვრთნელი) თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნაზე.

● ●

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სტროიტელი" (კიევი) 57:56 (35:33)

პირველი წრე — 67:62 „სტროიტელის" სასარგებლოდ



აქ, როგორც ხედავთ, ცენტრალურ თავდამსხმელთა დიდი სიჭარბის გამო „პატარებს" საქმე აღარ აქვთ. ფარქვეშ დავა ისეთ დონეზე მიდის, რომ ისინი მხოლოდ მეთვალყურეების როლში გამოდიან.

სურათზე: გულივერები კალათის უშუალო მისადგომებთან იბრძვიან. ეს მწვავე მომენტი „სტროიტელის" ფართანაა აღბეჭდილი.

● ●

„ჟალგირისი" (კაუნასი) — „კალევი" (ტარტუ) 85:84 (37:43)

პირველი წრე — 67:63 „კალევის" სასარგებლოდ



ბოლო წლებში ესტონელ კალათბურთელთა მთავარი პრობლემა სიმაღლე იყო. ახლა იგი ასე თუ ისე გადაწყდა. ყოველ შემთხვევაში, ლიპსოს დაბრუნებამ „მეორე სართულზე" „კალევის" საქმე მოაგვარა და გუნდის დანარჩენ წევრებს ფართო სამოქმედო ასპარეზი გაუხსნა.

სურათზე: აი, რა ძალას წარმოადგენს ლიპსო (შუაში) თავისი გუნდისთვის.

ფოტოსურათები ა. კოტორაშვილისა.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები, რომლებმაც ასეთი შედეგები მოგვცა: ცსკა — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 92:58 (46:30), ასკ (რიგა) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 61:67 (28:41), ასკ (კიევი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 78:70 (30:36), „სტროიტელი" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) 82:62 (37:33), „კალევი" (ტარტუ) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 97:76 (48:42). თბილისის „დინამოსა" და სვერდლოვსკის „ურალმაშის" შეხვედრა გვიან საღამოს დამთავრდა.

## დღეს

გაიმართება შემდეგი მატჩები: 10 ს. „ჟალგირისი"—ასკ (რიგა), 11.45. „დინამო" (მოსკოვი) — „ურალმაში", 15.00. „ლოკომოტივი" — ასკ (კიევი), 16.45. „სპარტაკი"—ცსკა, 18.30. „ბურევესტნიკი" — „სტროიტელი", 20.15. „დინამო" (თბილისი) — „კალევი".

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 16 | 14 | 2 | 1334—1138 | 14 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 17 | 14 | 3 | 1374—1277 | 14 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 17 | 12 | 5 | 1370—1238 | 12 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 17 | 12 | 5 | 1307—1192 | 12 |
| „კალევი" (ტარტუ) | 17 | 11 | 6 | 1399—1334 | 11 |
| „დინამო" (თბილისი) | 17 | 9 | 8 | 1302—1387 | 9 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 8 | 8 | 1331—1291 | 8 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 17 | 6 | 11 | 1264—1397 | 6 |
| ასკ (კიევი) | 17 | 5 | 12 | 1240—1266 | 5 |
| ასკ (რიგა) | 17 | 4 | 13 | 1217—1356 | 4 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 17 | 3 | 14 | 1260—1427 | 3 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 16 | 3 | 13 | 1238—1388 | 3 |




# ჩვენი ეზოს გუნდი

მატარებელმა სოჭს მიაკივლა. სადგურზე იმდენი ხალხი იყო, ნემსი არ ჩავარდებოდა. ძლივსძლივობით გამოვედით ბაქანზე. დიმიტრი მწვრთნელს ფერი წასვლოდა, შეეშინდა, ალბათ, ამ უცხო ქალაქში არავინ დაგვკარგულიყავით.

ღამე ქალაქში უნდა გაგვეთია, დილით კი ადლერის აეროდრომიდან საჰაერო ლაინერით ლენინგრადს გავფრენილიყავით.

ღამის გასათევის ძებნაში ნახევარი დღე დაიკარგა. რომელ სასტუმროშიც მივედით, ყველგან ასეთი წარწერა იყო: „თავისუფალი ადგილი არ არის". ბოლოს ერთ-ერთ სასტუმროში დიმიტრი მწვრთნელმა ადმინისტრატორი მოთაფლა: ფირუზს თავისი ჩანთა გამოართვა, კონიაკის ბოთლი ამოიღო და...

სასტუმრო ჩინებული გამოდგა. შესანიშნავად მოვეწყვეთ. უჰ, რა ძალა ჰქონია დალოცვილ ქართულ კონიაკს!

რესტორანში სასადილოდ შევედით. დიდხანს მოგვიხდა რიგში დგომა. შიმშილისგან სული გვძვრებოდა. როგორც იქნა, მაგიდას მივუსხედით და საჭმლის მოლოდინში გავინაბეთ.

ჩვენს მოპირდაპირე მხარეს ათიოდე კაცი, ეტყობა, კარგა ხნის დამსხდარი იყო: მაგიდის ქვეშ, იატაკზე ღვინის ცარიელი ბოთლების ბატალიონი იდგა. მათი საუბარი არ გვესმოდა. ერთი ძია ორკესტრთან მივიდა, ხელმძღვანელს ჯიბეში რაღაც ჩაუდო და მუსიკოსებმა ერთხმად დასცხეს „თბილისო".

როგორც იქნა, ოფიციანტმა სადილი მოგვიტანა. ის-ის იყო, ჭამას შევუდექით, რომ მსუქანმა ოფიციანტმა ქოშინ-ქოშინით ოცი ბოთლი შამპანური, ხილი და შოკოლადი მოგვართვა. თანაც გვითხრა, აი, იმ მაგიდიდან მოგართვესო. დიმიტრი მწვრთნელი უმალვე ფეხზე წამოდგა და მადლობის ნიშნად იმ მაგიდასთან მსხდომთ თავი დაუკრა. იქიდანაც ერთი კაცი წამოდგა, ეტყობოდა, თამადა იყო და ასეთი სადღეგრძელო გვითხრა:

— ახალგაზრდებო! თქვენ ხართ ჩვენი მომავალი. აქ ჩვენ ერთმანეთის სიყვარულმა შეგვკრიბა. თითო ჭიქით გვინდა ვახსენოთ საქართველო, ჩვენი წინაპრები (გამეცინა, ჩვენი წინაპრები თუ ასე უზომოდ სვამდნენ ღვინოს, როგორღა მოაღწია ჩვენმა თაობამ ამ დრომდე), ამხანაგობა, მეგობრობა, მშობლები, ცოლ-შვილი. ალბათ ყველას გსმენიათ ომარ ხაიამის განთქმული ლექსი.

აქ თამადამ ღვინის სადიდებელი სტრიქონები წარმოთქვა.

ჩვენ არც ომარ ხაიამი ვიცოდით და არც მისი ლექსი. ისიც კარგი ლოთი ყოფილა, ღვინის მსმელების რამოდენა ხოტბა დაუწერია.

როგორც იქნა, ვისადილეთ, წამოვდექით და წასასვლელად მოვემზადეთ. ის თამადა მაინც არ მოგვეშვა. თავისთან მიგვიპატიჟა ყველანი. დიმიტრი მწვრთნელს ღვინით ლიმონათის ბოთლი გაუვსო, თეფშზე დადგა, ბოთლს ოთხი ავსებული ჩაის ჭიქა მიუდგა და შესმა უბრძანა. დიმიტრი უარზე იყო, მაგრამ თამადამ ნამუსზე შეაგდო:

— ქართველი არა ხარ, შე კაცო! ამან შეგაშინა?! სულმოუთქმელად დალიე. რომელ მხარეშიც უნდა იყო, ქართველობა არ უნდა დაივიწყო.

ძალიან შეგვეცოდა დიმიტრი მწვრთნელი. თვალებში შევყურებდით, გვინდოდა არ შეესვა. თამადამ კი, რომ იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მოტყუვდა ჩვენი დიმიტრი: დაიწყო სმა. სხვებიც დიდი ჭიქებით სვამდნენ...

... დამშვიდობებისას ორკესტრმა ქართული საცეკვაო დაუკრა.

დილაადრიან ავტობუსით ადლერის აეროპორტისკენ გავწიეთ. ფანჯრებიდან ხელისგულივით ჩანდა სოჭის დიდებული ბუნება. როგორ წააგავდა იგი საქართველოს მთებს, მდელოს. თითქოს რუსეთში კი არა, ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე მივდიოდით. საოცარი მსგავსება იყო.

ადლერის აეროპორტშიც ზღვა ხალხი ირეოდა. მეგონა, რაც ამ ქვეყანაზე ხალხია, ყველას შავი ზღვის სანაპიროზე მოუყრია თავი-მეთქი. დიქტორი წამდაუწუმ აცხადებდა სხვადასხვა ქალაქის სახელწოდებას.

ჩვენი რეისის ნომერი რომ გამოაცხადეს, ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ. ყველა პირველად ვჯდებოდით თვითმფრინავში.

... სტიუარდესამ რადიოთი გამოაცხადა:

— ჩვენი თვითმფრინავი, რომლის მარშრუტია ადლერი — ლენინგრადი, 9000 მეტრ სიმაღლეზე იფრენს. ფრენის დროს ჰაერის ტემპერატურა იქნება მინუს 59 გრადუსი.

ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ. ვიფიქრე, გავყინულვართ და ეს არის-მეთქი. სახეზე შეშფოთება რომ შეგვნიშნა, დიმიტრი მწვრთნელმა ხმამაღლა აგვიხსნა: ეს ატმოსფეროს ტემპერატურაა, თორემ თვითმფრინავში ჩვეულებრივი ნორმალური სითბო იქნებაო.

თვითმფრინავი გრუხუნით გავარდა ბეტონის გზაზე და უეცრად ჰაერში აიჭრა. ცოტა არ იყოს, შემეშინდა, ბიჭებს გადავხედე. ყველას ფერი ჰქონდა დაკარგული. ჩემს გვერდით მჯდარ გივის თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ძლივს სუნთქავდა, თითქოს რაღაც ახრჩობდა. მიმოვიხედე: ასეთივე დღეში იყვნენ კახი და ნოდარიც. დიმიტრი მწვრთნელს თვალით ვანიშნე. იგი ჩემთან მოვიდა.

— ცუდად არიან, მასწ, — შეშინებულმა შევძახე ჩვენს აღმზრდელს. იგი გივის ქამარში სწვდა და სიცილით ყურში ჩასძახა:

— მოგიკლავს თავი და ესაა. ქამრის ასე შემოჭერა ვის გაუგონია, ხომ გაწყდი წელში.

ფერდაკარგულები მყისვე ქამრებს ეცნენ და რამდენიმე წუთში ყველა ჩვენი ფეხბურთელის სახეზე ღიმილი კრთოდა.

რამდენიმე საათის ფრენის შემდეგ თვითმფრინავი ლენინგრადის აეროდრომზე დაეშვა. ადგილებიდან წამოვიშალეთ. გივიმ შვებით ამოისუნთქა. გადმომხედა და გაღიმებული რომ მნახა, თვითონაც ღიმილი ჩაუდგა თვალებში.

— თავს ვიკლავდი, — გადმომილაპარაკა მან.

— კიდევ კარგი, [illegible] შევნიშნე, რომ გადმოსულიყავი, ხომ იცი, აქაც ისეთი [illegible] ზღვაში [illegible], თვითმფრინავიდან კი პირდაპირ დედამიწაზე.

— ახლა შენ ქვეყანას მოსდებ ამ ამბავს. იცოდე, კრინტი არ დასძრა, თორემ, ხომ იცი: თინიკო, 99-67-961 ადგილზე შევხტი.

— გივი, შენც სუ, მეც სუ. ყაბულსა ხარ?

— ასე იყოს, ზურიკელა!

— ზურიკელა კი არა, ზურაბ.

— როდის აქეთ გახდი ზურაბი. სახელი გამოგიცვალა 99-67-96-მა?

ბიჭები უკვე ჩასულიყვნენ. დიმიტრი მწვრთნელი თვალებით ვიღაცას ეძებდა, ალბათ, ჩვენ. ნეტა, რისი ეშინოდა, თვითმფრინავიდან გადავხტებოდით, თუ?

აეროპორტის დიქტორი საქვეყნოდ აცხადებს:

— ეზოს გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს აეროვაგზლის მარცხენა მხარეს ელოდება ავტობუსები.

აეროვაგზლის დიდ დარბაზში, ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულ წითელ ქსოვილზე დიდი ასოებით ეწერა: „ლენინის ქალაქი მიესალმება ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მონაწილეებს!"

ბიჭები შევგროვდით. ვიღაც შუახნის კაცი მომიახლოვდა, ხელკავი გამომდო. შევხედე, ნაცნობი არ იყო. პირიდან არყის საშინელი სუნი ამოსდიოდა, თანაც ფეხზე ძლივს იდგა. მითხრა, თქვენ ქართველები ხართ და ხილსა და ყვავილებს ჩამოიტანდით გასაყიდადო.

ცოტა არ იყოს, შევცბი. თვალებით დიმიტრი მწვრთნელს დავუწყე ძებნა. ის თურმე ცოტა ხნით საქმეზე წასულიყო...

მთვრალი კაცი კვლავ მე ამომიდგა გვერდში. ჩემს მეტი ვერავინ ნახა? ცოტა არ იყოს, გული მომივიდა. ზურგი შევაქციე. წინიდან მომიარა. ახლა ჩამოსვლის მიზეზი მკითხა. მე წითელ ტრანსპარანტზე მივუთითე, ჩვენ, ნორჩ ფეხბურთელებს ასე დიდი პატივით რომ გვესალმებოდა.

აბეზარმა კაცმა წითელ ქსოვილს დიდხანს უყურა, უყურა, მერე ჩვენ კიდევ ერთხელ შეგვათვალიერა და, როგორც იქნა, გაგვეშორდა. ამასობაში დიმიტრი მწვრთნელიც მოვიდა, ავტობუსისკენ გაგვიძღვა.

ავტობუსი მიდის და მიდის. გზა კი არ ილევა. მართლაც, რა დიდი ქალაქი ყოფილა ლენინგრადი. მე იგი მხოლოდ სურათებზე მინახავს. მამა სულ მეუბნებოდა, ლენინგრადში წაგიყვან, ისეთ რამეს განახვებ, თავი სიზმარში გეგონებაო. „ერმიტაჟი" ჰქვიაო. მამა ფერწერის დიდი მოყვარულია. მოეწყობა თუ არა თბილისში მხატვრების რომელიმე გამოფენა, ხელს დამავლებს და საათობით ვათვალიერებთ ფერწერულ ტილოებს.

ზოგი მართლაც კარგია, ზოგს კი ვერ გაუგებ სადა აქვს თავი და სად ბოლო. მამას რომ ვკითხები, მეუბნება:

— გაიზრდები, გაიგებ...

ზ. ჯაფარიძე.

გაგრძელება, იხ. „ლელო" №№ 39, 42.

(გაგრძელება იქნება)

# ახალი ამბები

● პანამა-სიტი, 2 მარტი. ცენტრალური ამერიკის თამაშების პროგრამით აქ მოასპარეზე მძლეოსანთა შეჯიბრებაში ცნობილმა კუბელმა სპრინტერმა პ. მონტესმა 100 მ 9,9 წამში გაირბინა, მაგრამ ეს შედეგი მსოფლიო რეკორდის გამეორებად არ ჩაითვლება, ვინაიდან მორბენალს საკმაოდ ძლიერი ზურგქარი ეხმარებოდა.

● ბერლინი, 2 მარტი. გდრ-ის დედაქალაქის დარბაზში გამართული დიდი საერთაშორისო მძლეოსნური შეჯიბრება წლევანდელი ევროპული სეზონის უმაღლესი მიღწევებით აღინიშნა. მათი ავტორები არიან ტურნირის მასპინძლები: ი. დიურკოპი 218 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო, ხოლო სამხტომში საუკეთესო შედეგი აჩვენა ი. დრემელმა — 16,63 მ (ასე შორს წლეულს მსოფლიოში არავინ გადამხტარა). II ადგილი დაიკავა ზ. დენემ — 16,32 მ, III — ახალგაზრდა ჰ.-გ. შენკმა — 16,25. კ. ბალცერმა 60 იარდი თარჯებით ამას წინათ დამყარებულ თავისივე მსოფლიო მიღწევაზე მხოლოდ 0,1 წამით უარესი შედეგით გაირბინა — 7,4. ბირთვის კვრა მსოფლიოში წლევანდელი სეზონის მესამე შედეგით მოიგო მ. ლანგემ (გდრ) — 18,08 მ. მისმა თანამემამულე მძლეოსანმა ქალმა ჰ. ფრიდელმა 17,55 მეტრზე ჰკრა ბირთვი, ხოლო მოსკოველმა გ. ნეკრასოვამ — 17,32 მეტრზე. პოლონელი მ. სარნა ყველაზე შორს გადახტა — 626 სმ.

● ჩერვენსკი, 2 მარტი. ადგილობრივ დარბაზში დაიწყო პოლონეთის მძლეოსანთა ზამთრის შეჯიბრება. ბირთვის კვრაში შესანიშნავ შედეგს მიაღწია ვ. კომარმა — 19,83 მ. ეს წლეულს ევროპაში მეორე მაჩვენებელია და ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

● ბუქარესტი, 2 მარტი. რუმინეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში განსაკუთრებული სიმწვავით აღინიშნა სამმხტომელთა ასპარეზობა. ყველას აჯობა რუმინელმა კ. კორბუმ — 16,62 მ. მისი თანამემამულე შ. ჩოკინა მეორე იყო — 16,53 მ, ხოლო უნგრელი ზ. ჩიფრა — მესამე (16,47). სიმაღლეზე მხტომელთა შეჯიბრებაშიც მასპინძელმა — შ. იოანმა იმარჯვა — 214 სმ. ქალთა შორის წლევანდელი მსოფლიო სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა 19 წლის კ. პოპესკუმ (რუმინეთი) — 183 სმ. ინგლისელმა ს. სკოტმა მოიგო შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში (623 სმ), ხოლო მისმა თანამემამულე მ. პიტერსმა ყველაზე შორს ჰკრა ბირთვი — 16,40 მ.

# მორიგი მატჩები — 12 და 26 მარტს

დამთავრდა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური ტურნირები. გთავაზობთ საბოლოო ცხრილებს:

## „ა" ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „რეალი" (ესპანეთი) | 3 | 2 | 1 | 516—501 | 2 |
| „სლავია" (ჩეხოსლოვაკია) | 3 | 2 | 1 | 457—457 | 2 |
| „რესინგი" (ბელგია) | 3 | 1 | 2 | 446—440 | 1 |
| „აკადემიკი" (ბულგარეთი) | 3 | 1 | 2 | 452—478 | 1 |

როგორც ხედავთ, „რეალმა" და „სლავიამ" ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ სატურნირო ცხრილში უპირატესობა მიენიჭა ესპანეთის ჩემპიონს, ვინაიდან პირადი შეხვედრა მან მოუგო „სლავიას". ამავე მიზეზით „რესინგმა" გაუსწრო „აკადემიკს".

ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „რეალმა" და „სლავიამ".

## „ბ" ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა (სსრ კავშირი) | 3 | 3 | 0 | 540—472 | 3 |
| „ინისი" (იტალია) | 3 | 2 | 1 | 485—420 | 2 |
| „ვილერბანი" (საფრანგეთი) | 3 | 1 | 2 | 448—529 | 1 |
| „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) | 3 | 0 | 3 | 462—514 | 0 |

ამ ჯგუფიდან ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს სსრ კავშირისა და იტალიის ჩემპიონებმა.

შეჯიბრების დებულების თანახმად, „ა" ჯგუფში გამარჯვებული მომდევნო ეტაპზე შეხვდება „ბ" ჯგუფში II ადგილზე გასულს და პირიქით. ამრიგად, ნახევარფინალში გუნდები ასეთნაირად დაწყვილდნენ: „სლავია" — ცსკა, „ინისი" — „რეალი". პირველი ნახევარფინალური მატჩების თარიღია 12 მარტი, მეორისა — 26 მარტი.

გამარჯვებული გუნდები გავლენ ფინალში. ფინალური მატჩი კი გაიმართება 9 აპრილს იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში.

# IX ადგილისთვის

პარიზი, 3 მარტი. თქმა არ უნდა, საბჭოთა ხელბურთელი ვაჟები აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ძლიერ ჯგუფში მოხვდნენ, მაგრამ სპორტის მოყვარულები მათგან მაინც უკეთეს შედეგს ელოდნენ: წინა ჩემპიონატში (შვეცია) სსრ კავშირის ნაკრები ხომ მეოთხე იყო! ისიც უნდა გავახსენოთ, რომ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატამდე რამდენიმე ხნით ადრე გამართულ ამხანაგურ შეხვედრებში საბჭოთა ნაკრებმა საუცხოოდ ითამაშა. აქ კი იგი უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ IX ადგილზე გავა. მისი მეტოქენი ამ ადგილისთვის ბრძოლაში იქნებიან დამამშვიდებელი ტურნირის სხვა მონაწილენი — საფრანგეთის, ისლანდიისა და იაპონიის ხელბურთელები.

თავიანთ ჯგუფებში ბოლო ადგილები დაიკავეს ნორვეგიის, პოლონეთის, შვეიცარიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელბურთელებმა, რომლებიც იბრძოლებენ XIII-XVI ადგილებისთვის.

ჯგუფებში გამართულმა ბოლო შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: აშშ — იაპონია 21:15, ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია 16:15, საფრანგეთი — შვეიცარია 15:12, გფრ — რუმინეთი 15:14, ისლანდია — პოლონეთი 21:18, უნგრეთი — დანია 24:19.

დღეს მსოფლიო ჩემპიონთა ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში გაიმართება ასეთი მეოთხედფინალური შეხვედრები: რუმინეთი — შვეცია, ჩეხოსლოვაკია — დანია, გდრ — გფრ, იუგოსლავია — უნგრეთი.

# პრინცი ფულს აღარ იძლევა

მონტე-კარლოს (მონაკო) საჭადრაკო ფესტივალი აღარ გაიმართება, თუმცა იგი მუდამ დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა. საქმე ისაა, რომ ამ შეჯიბრების მოსაწყობად მონაკოს პრინცი ყოველწლიურად 10 ათას დოლარს ხარჯავდა, ახლა კი იგი ამ თანხის გაღებას აღარ აპირებს.

საინტერესოა, რომ მონტე-კარლოს ახალი ფესტივალის ორგანიზატორებს ბევრ დიდოსტატთან ჰქონდათ მოლაპარაკება, მაგრამ ახლა ყველას საბოდიშო ბარათები გაუგზავნეს. ფიდე-ს წარმომადგენელმა სინანული გამოთქვა ფესტივალის გაუქმების გამო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული [illegible]

ტანვარჯიში. თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). 4-8 მარტი. საქართველოს თასის გათამაშება. დასაწყისი 18 ს.

ქალთა XV ტრადიციული სპარტაკიადა. დღეს: ტანვარჯიში. თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის დარბაზი. დასაწყისი 18 ს. მაგიდის ჩოგბურთი. ეჭვე. 18 ს. ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. 18 ს. ფრენბურთი. პლასტმასის ქარხნის სპორტდარბაზი. 16 ს. ბადმინტონი. 26 კომისრის სახელობის სპორტდარბაზი. 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8( უე 03170